25/05/2026

MES 9 26 0000614267

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლა:
ზაზა გოგოლაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლა:
რევაზი ჯოჯუა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლა:
მაია თავართქილაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლა:
რომანი ქავთარაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა:
გიორგი შეყილაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლა:
მარიამ ჭელიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლა:
გოჩა ღონღაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლა:
ჯენეტი ივანიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის N2 საჯარო სკოლა:
ია ხაჩიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლა:
მზია კორაშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლა:
ა) მაკა ნადარეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ბურჯანაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ)ვლადიმერ ბერუაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნონა ბეროშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა:
ა) გულნარა ხაბურზანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამარ ცხადაია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ ლაზარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლა:
ა) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე მიქაუტაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დავით ჩივაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლა:
ა) მარინე ჯანაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო გედეხაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ქურდაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა ნანობაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლა:
ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო სარაული (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის N2 საჯარო სკოლა:
ა) ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლალი მექერიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლა:
ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ფიქრია მახარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო გოგორელიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) სოფიკო სიუკაევა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 08 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა,

რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
2.სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრს დაუკავშირდა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის N1 და სსიპ - ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლების ავტორიზაციის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეები და ითხოვეს საკითხების მე-4 და მე-5 საკითხებად გადატანა, რადგან ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, მოგვიანებით ვერ შეძლებდნენ საკითხის წარგდენას.

საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
2.სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;

4.სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1.სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764 (ცვლილება 06.02.2025 N117914) ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე, ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუმცა, აღნიშნული საკითხების მოგვარებისთვის გადადგმული ჰქონდათ ქმედითი ნაბიჯები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ზაზა გოგოლაძემ, განმარტა, რომ სკოლას შესრულებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, თუმცა ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულება, ვინაიდან სკოლა საკუთარი ფინანსური რესურსით აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებას ვერ უზრუნველყოფდა. დაფინანსების მიღების მიზნით კი, სკოლას მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის და ელოდებოდა შემდგომ ქმედით ნაბიჯებს.
საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე, დაინტერესდა, რა ვადაში ელოდებოდა სკოლა პასუხისმგებელი ორგანოსგან პასუხის მიღებას.
სკოლის დირექტორის თქმით, ვინაიდან მსგავს მდგომარეობაში სხვა სკოლებიც იმყოფებოდნენ, მოსალოდნელი იყო დაფინანსების პროცესის დაგვიანება. მისი მოსაზრებით, სკოლა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების სრულად შესრულებას დაახლოებით ორი წლის ვადაში შეძლებდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების

მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:35
დასრულების დრო: 14:37

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764 ოქმის მე-7 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრისა, ხოლო ინკლუზიური გარემოს მოწყობის მტკიცებულებები 2028 წლის მაისში.

2.სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, პასუხისმგებელ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და სასკოლო ბიბლიოთეკის შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, პასუხისმგებელ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და სასკოლო ბიბლიოთეკის შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა მიწერილობა პასუხისმგებელ ორგანოსთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ლევან ჯოჯუამ, განმარტა, რომ სკოლას შესრულებული ჰქონდა ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან მიღებული ყველა რეკომენდაცია, თუმცა შეუსრულებელი

რჩებოდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთოხების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია. აღნიშნული მიმართულებით სკოლას გადადგმული ჰქონდა ქმედითი ნაბიჯები. სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკურად გამართვისთვის სკოლას ესაჭიროებოდა გარკვეული სამუშაოები, რის შესრულებასაც დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა სკოლა და დაფინანსების მიზნით მიმართული ჰქონდათ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:41
დასრულების დრო: 14:43

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის მე-7 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრამდე.

3.სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 10 ოქტომბრის N1343400 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და ვებ-გვერდის შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულება.
სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და ვებ-გვერდის შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულება.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, თუმცა, წარმოადგინა შემოწმების აქტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მაია თავართქილაძემ, განმარტა, რომ დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა ყველა რეკომენდაცია, მათ შორის მოპოვებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო არა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, არამედ სახანძრო შემოწმების აქტი, რომლის თანახმადაც ობიექტი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან არ იყო შესაბამისობაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 10 ოქტომბრის N1343400 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:46
დასრულების დრო: 14:49

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 10 ოქტომბრის N1343400 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის სექტემბრამდე.

4.სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, აღნიშნა, რომ ვერ მიიღებდა აღნიშნული სკოლის საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში იყო სკოლის მხარდამჭერი ექსპერტი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა

საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 500. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოწესრიგებული გარემო. სკოლას ჰქონდა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი, მათ შორის ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბი და წრე, დაწესებულება ასევე ატარებდა არაერთ სპორტულ აქტივობას, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება.

ექსპერტმა, ირინა დვალმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, მოიპოვა თუ არა სკოლამ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

ექსპერტის, ირინა დვალის, განმარტებით, სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე, წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აღნიშნული დასკვნის მოპოვების თარიღად განისაზღვრა 2026 წლის ოქტომბერი.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, ვინ ასწავლიდა სკოლაში ფიზიკასა და სპორტს, ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებში თუ იყო ამწოვი კარადა.

სკოლის დირექტორმა, მზია კორაშვილმა, აღნიშნა, რომ ფიზიკას ასწავლიდა ფიზიკის მიმართულებით უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირი, თუმცა მას კვალიფიკაცია არ ჰქონდა დადასტურებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის - მასწავლებლის სახლის მიერ. მისი თქმით, აღნიშნული მასწავლებელი დარეგისტრირებული იყო მასწავლებლის გამოცდაზე. სპორტის მასწავლებელთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ სკოლამ დაასაქმა კვალიფიციური კადრი. ლაბორატორიებთან

დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამწოვი სისტემა მოწყობილი იყო ყველა ლაბორატორიაში, თუმცა კარადა არ იყო დამონტაჟებული.
აქვე, საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, აღნიშნულ პოზიციაზე გამოცხადებული იყო თუ არა ვაკანსია.
სკოლის დირექტორის თქმით, საკონკურსო პირობები დასრულდა აპრილის თვეში და უახლოეს მოამავალში ახალი კონკურსი გამოაცხადდებოდა.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, გაითვალისწინა თუ არა სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის რჩევები.
სკოლის დირექტორის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:06
დასრულების დრო - 15:09

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 241572589) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში ფიზიკასა და ფიზიკურ აღზრდაში (სპორტი) კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების დასაქმების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებში არსებული ამწოვი სისტემის ტექნიკურად გამართულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების, **2027 წლის ნოემბერში** სა განგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ხოლო **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 19 და 20 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 800. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 800 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოწესრიგებული გარემო.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი „ნაწილობრივი შესაბამისობით“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, მიმართა სახელმწიფო ენისა და მათემატიკის ექსპერტებს, გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით, მეტი დეტალი ეცნობებინათ საბჭოს წევრებისთვის.
სახელმწიფო ენის ექსპერტმა, ხათუნა ქერაშვილმა, აღნიშნა, რომ კურიკულუმებში თავდაპირველად გამოიკვეთა რამდენიმე უზუსტობა. აღნიშნული უზუსტობების შესახებ ინფორმაცია მასწავლებლებისთვის ინტერვიუების პროცესშივე გახდა ცნობილი, თუმცა გასწორებული კურიკულუმი სკოლას არ წარმოუდგენია.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ჯულიეტა ტაბეშაძემ, აღნიშნა, რომ რეალურად მასწავლებლები უფრო მეტს აკეთებდნენ, ვიდრე ეს დოკუმენტაციაში იყო აღწერილი. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მასწავლებლები აქტიურად მუშაობდნენ, თუმცა ეს ყველაფერი არ იყო ასახული კურიკულუმებში.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, გამოაცხადა თუ არა სკოლამ ექიმის ვაკანსია.
სკოლის დირექტორმა, ჯენეტი ივანიძემ, აღნიშნა, რომ გამოცხადებული ჰქონდათ ექიმის ვაკანსია. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქარელის N1საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:21
დასრულების დრო - 15:24

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 240890853) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ქარელი, 26 მაისის ქუჩა N1.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ქარელი, 26 მაისის ქუჩა N1.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ქარელი, 26 მაისის ქუჩა N1.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2027 წლის დეკემბერში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, **2026 წლის დეკემბერში** შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგე ბობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6.სსიპ - ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05 და 06 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1000. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობას ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები.
ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, სკოლაში, ვინ ასწავლიდა საგან „მე და საზოგადოებას“.
სკოლის დირექტორის, მარიამ ჭელიძის, განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში გამოცხადდა ვაკანსია და მალევე დასაქმდა საგნის „მე და საზოგადოების“ მასწავლებელი, მიმდინარე სასწავლო წლის ჩათვლით, თუმცა, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, 2026-2027 სასწავლო წლიდან აღნიშნულ საგანს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები შეასწავლიდნენ. საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, მიმართა დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ექსპერტს, გაცემულ რჩევებთან მიმართებით, მეტი დეტალი ეცნობებინა საბჭოს წევრებისთვის.
დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა, ნათია კოხოძემ, აღნიშნა, რომ ძირითადად რჩევები ეხებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიიმართულებას, კერძოდ, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სწავლის შედეგების განახლებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:36
დასრულების დრო - 15:41

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N17 საჯარო სკოლას (ს/კ: 211351758) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კილომეტრი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კილომეტრი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კილომეტრი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში დაწყებით საფეხურზე (მე და საზოგადოება და სპორტი) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების დასაქმების, **2027 წლის მაისში** პანდუსის/ლიფტის მოწყობისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობისა და აღჭურვის, **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 19 და 20 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1400. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1400 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო. სკოლას ჰქონდა ეზო, სადაც მოწყობილი იყო რეკრეაციული სივრცეები.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს, მათ შორის ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული ჰქონდა პროექტი - „ჩემი უფლებაა“, რომლის ფარგლებშიც პოლონეთის ქალაქ ტჩევის საგანმანათლებლო ასოციაციის წევრები ეწვინენ სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლას. სკოლის წარმომადგენლებმა ასევე მიიღეს მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში, წარადგინეს სპექტაკლი „ამბავი ყვავილზე“ და დაჯილდოვდნენ ქალაქ ტჩევის საკრებულოს პრიზით. ექსპერტის თქმით, სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა დღის ცენტრ „ორიონთან“, თანამშრომლობის ფარგლებში იმართებოდა სპექტაკლები და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ძალიან კარგი გამოცდილება ინკლუზიური განათლების მიმართულებით და დაინტერესდა, უზიარებდა თუ არა გამოცდილებას რეგონში არსებულ სხვა სკოლებსაც.

სკოლის დირექტორის, გოჩა ღონღაძის თქმით, ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ რეგიონში არსებულ სხვა სკოლებთან, უზიარებდნენ არა მხოლოდ ინკლუზიური განათლების მიმართულებით გამოცდილებას, არამედ სხვა წარმატებულ პრაქტიკებსაც. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმაც და აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ნამდვილად გამოიკვეთა ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკა სხვა სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N2საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1400-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:56
დასრულების დრო - 16:02

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 230058898) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, აკაკი წერეთლის ქუჩა N4.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, აკაკი წერეთლის ქუჩა N4.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, აკაკი წერეთლის ქუჩა N4.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების

პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2028 წლის მაისში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა.

8.სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 და 27 თებერვალს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1650. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1650-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ინკლუზიური განათლების ხელშეწყობასა და გაძლიერებას, რომელიც ასახული იყო სკოლის მისიაში. ექსპერტის თქმით, სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი ა(ა)იპ საქართველოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების პედაგოგიური პრაქტიკით უზრუნველყოფის ან სტაჟირების მიზნით.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, დასკვნის გაცნობის შემდგომ, მიღებული რჩევების გათვალისწინებისთვის რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ.
სკოლის დირექტორის, გიორგი შეყილაძის განმარტებით, დასკვნის გაცნობის შემდგომ, სკოლის წარმომადგენლებმა აქტიურად დაიწყეს მუშაობა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციის გათვალისწინებისთვის.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო სამედიცინო პერსონალის დასაქმების საკითხი.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლა მუდმივად აცხადებდა ვაკანსიას, თუმცა დაინტერესებული პირი არ იკვეთებოდა. მისი განმარტებით, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, სკოლის ექიმის კვალიფიკაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაცია მიმდინარე წლის სექტემბრამდე აღმოიფხვრებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1650-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:19
დასრულების დრო - 16:23

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლას (ს/კ: 216317297) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1650-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	ქალაქი რუსთავი, მესხიშვილის II გასავლელი N3.

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი რუსთავი, მესხიშვილის II გასავლელი N3.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი რუსთავი, მესხიშვილის II გასავლელი N3.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2027 წლის თებერვალში კვალიფიციური სამედიცინო კადრის დასაქმების დამადასტურებელი მტკიცებულებების, ხოლო **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

9. სსიპ - დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05 და 06 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 700. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 700 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო მეგობრული, უსაფრთხო გარემო და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას. ასევე, ექსპერტის თქმით, სკოლაში იყო სკოლამდელი ბავშვების მოსამზადებელი ჯგუფი.
ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო სკოლის შენობის ექსპლუატაციაში შესვლის საკითხი.
სკოლის დირექტორის, ია ხაჩიძის თქმით, სკოლას უკვე მიღებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა და შესაბამისად დაიწყეს სკოლის შენობის ექსპლუატაციაში მიღების სამუშაოების მოგვარება.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა მოსამზადებელი ჯგუფის საკითხით, კერძოდ ეს იყო ბაღი თუ მხოლოდ წინასსასკოლო მზაობის ჯგუფი.
სკოლის დირექტორის თქმით, მიმდინარეობდა მხოლოდ სკოლამდელი ბავშვების მომზადება და ეს არ იყო ბაღი.
საბჭოს მდივანმა, ნინო ბერიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული იყო ინფორმაცია, რომ დაწესებულება მონაწილეობდა გაცვლით პროგრამებში და დაინტერესდა, როგორ ხდებოდა მოსწავლეების შერჩევა და მათი დაფინანსება.
სკოლის დირექტორის თქმით, პროექტი ხორციელდებოდა სსიპ - ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლასთან თანამშრომლობით, 10-11 კლასელებისთვის. მოსწავლეთა შერჩევისას ხდებოდა ინგლისური ენის ცოდნის გათვალისწინება, რაც შეეხებოდა დაფინანსებას, სკოლის დირექტორის თქმით, გზის თანხა ფინანსდებოდა თავად მოსწავლეების მიერ, ხოლო სხვა ყველა საჭიროებას უზრუნველყოფდა ლიეტუვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:36
დასრულების დრო - 16:42

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 243874786) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ხაშური, რუსთაველის ქუჩა N95
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ხაშური, რუსთაველის ქუჩა N95
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ხაშური, რუსთაველის ქუჩა N95

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2027 წლის სექტემბერში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სრულად აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

10.სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა

დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05 და 06 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოება მუშაობდა ერთ გუნდად და ახორციელებდა სხვადასხვა სასკოლო-სასწავლო პროექტს.
ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე- 2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, გაითვალისწინა თუ არა სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევები და რეკომენდაციები.
სკოლის დირექტორის, რომან ქავთარაძის, თქმით, დასკვნის მიღების შემდგომ შეიკრიბა კათედრები და დაიწყეს ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, მისი თქმით, მასწავლებლები აქტიურად მუშაობდნენ აღნიშნული მიმართულებებით. აქვე დასძინა, რომ სკოლამ დაასაქმა ექთანი, ასევე სარდაფის ჩასასვლელ კიბეზე მოაწყო დამცავი ზღუდე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:55
დასრულების დრო - 17:02

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 230867096) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თეთრიწყაროს მინიციპალიტეტი, სოფელი ორბეთი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თეთრიწყაროს მინიციპალიტეტი, სოფელი ორბეთი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თეთრიწყაროს მინიციპალიტეტი, სოფელი ორბეთი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში ექთნის დასაქმებისა და ხელშეკრულების გაფორმების მტკიცებულების, **2027 წლის მარტში** უფლებამოსილი ორიგანოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის პასუხისმგებელ ორგანოსთან მიმართვის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შენობის სარდაფში ჩასასვლელ კიბეზე დამცავი ზღუდის/კარების მონტაჟის, სკოლის შენობის შიდა პერიმეტრზე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შეძენა-მონტაჟის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის რესურსების შეძენისა და ლაბორატორიის მოწყობის მტკიცებულებების, ხოლო **2028 წლის მაისში** შენობის შიდა სივრცისთვის, მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის დამონტაჟების დამადასტურებელი

მტკიცებულებების და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:05 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე